



## გამოიჩა ინდოეთის მალანკარის ეკლესიის ახალი წინამძღვარი



2021 წლის 14 ოქტომბერს მალანკარის სირიულმა ქრისტიანულმა ასოციაციამ (ადგილობრივი ეკლესიის ანალოგი) მიტროპოლიტი მათე მარ სევერიუსი მალანკარის ეკლესიის ახალ წინამძღვრად გამოარჩია. შინაგანი წესდების თანახმად, მისი კანდიდატურა მანამდე დაამტკიცა მალანკარის ეკლესიის წმინდა სინოდმა..

საწინამძღვრო მსახურებაზე შედგომის წინ ახლადარჩეულმა კათოლიკოსმა, აღმოსავლეთისა და მალანკარის მიტროპოლიტმა, თავისთვის ახალი სახელი აირჩია –ბასილი მარ თომა მთე III. ინტრონოზაცია დაგეგმილია 15 ოქტომრისთვის.

მალანკარის ეკლესიის ახალი წინამძღვარი დაიბადა 1949 წლის 12 თებერვალს. ის არის ერთ-ერთი იერაქთაგანი, რომელიც ლენინგრადის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. დღემდე ის დასავლეთ კანდანადას (ინდოეთი) ეპარქიას მეთაურობდა; ცნობილია თავისი აქტიური მოღვაწეობით სოციალური მსახურების სფეროში

სსკვ-ს კომუნიკაციის სამსახური

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88245/>